კონფერენცია
დაინახე, გაიგონე, გადადგი ნაბიჯი

სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია, თბილისი
სამშაბათი, 3 დეკემბერი 2019

კონცეფცია

ზოგადი ინფორმაცია

კონფერენცია ეძღვნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს და აღნიშნავს საქართველოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების ხუთი წლისთავს. გაეროს განვითარების პროგრამა, მის პარტნიორებთან ერთად – საქართველოს მთავრობა და სახალხო დამცველის აპარატი, გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, შვედეთის მთავრობა, დანიის მთავრობა და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში – გამოთქვამს ამ განსაკუთრებული თარიღის აღნიშვნის სურვილს.

მიზნები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღის ყოველწლიურად აღნიშვნა 1992 წლიდან დაიწყო, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა რეზოლუცია 47/3. დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების გაცნობიერებას და მხარდაჭერის მობილიზებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსების, უფლებების და კეთილდღეობის დასაცავად. ეს დღე არის ერთგვარი მცდელობა იმ სარგებლის გაცნობიერებისა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტში ჩართვა მოიტანს. წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშირისო დღის თემა არის **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობისა და მათი ლიდერობის მხარდაჭერა: საკითხის გათვალისწინება 2030 წლის დღის წესრიგში.“**

მიუხედავად მთავრობის ძალისხმევისა და რიგი პოზიტიური რეფორმებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავაც საზოგადოების ყველაზე უხილავ ჯგუფად რჩებიან. განათლების, ჯანდაცვის, რეაბილიტაციის, შრომასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის, პოლიტიკურ და სოციალური ცხოვრებაში მონაწილოებისა და სხვა სფეროებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების სათანადოდ რეალიზების წინაშე, კვლავაც რჩება ხანგრძლივი გამოწვევები.

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშირისო დღეა. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გეგმავს მთელ დღიანი კონფერენციის ორგანიზებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ, საკანონმდებლო და ცხოვრებისეულ მიღწევებსა და გამოწვევებზე სასაუბროდ. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერას და ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ.

მონაწილეები

კონფერენციის მსვლელობისას გამართულ დისკუსიებში მონაწილეობას მიიღებენ მთავარი პარტნიორები და დაინტერესებული მხარეები: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, სახალხო დამცველის აპარატი, იუსტიციის სახლი, თბილისის მერია, ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორთან ერთად.

თემატური სესიები

კონფერენცია შედგება სამი თემატური სესიისა და ერთი ძირითადი მოხსენებისაგან:

სესია I: სახელმწიფოს პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ

ამ სესიის მიზანია იმსჯელოს სახელმწიფოს ხედვაზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) 33.1 მუხლით განსაზღვრული კოორდინაციის მექანიზმის და იმ აქტივობების შესახებ, რომელთაც ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს საქართველომ მოახდინა UNCRPD-ის რატიფიცირება, ქვეყანას არ აქვს კოორდინაციის ქმედითი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობდა კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვას სხვადასხვა სექტორებსა და დონეებზე.

სესია ასევე შეეხება UNCRPD-ის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების სტატუსს. ოქმს ხელი მოეწერა 2009 წელს, თუმცა ამ ეტაპზე რატიფიცირებული არ არის. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს დარღვეული უფლებების აღდგენისთვის, რადგან რატიფიცირებით მხარე სახელმწიფო აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები UNCRPD-ით გათვალისწინებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

სესია II: ხელოვნური ინტელექტი და რობოტექნიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

მთავარი მომხსენებელი: ირაკლი ბერიძე, გაეროს ხელოვნური ინტელექტისა და რობოტექნიკის ცენტრის ხელმძღვანელი, UNICRI სესიის მთავარი სპიკერი წარმოადგენს ხელოვნურ ინტელექტისა და რობოტექნიკის მიღწევებს საერთაშორისო არენაზე და მათ კავშირს შშმ პირებთან. ამასთან, სესიის მეორე ნაწილში განხილული იქნება აღნიშნული მიმართულებით საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ასევე ის პროდუქტები რომელთა წარმოების დაწყება დააკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეულ საჭიროებებს.

სესია III: სახელმწიფო მომსახურებების და ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა:

სესიაზე განხილული იქნება შენობის ადაპტირების სტანდარტები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ICC A117.1.2017-ზე დაყრდნობით, მუშაობს ხელმისაწვდომი და გამოყენებადი შენობების სტანდარტებზე. აქტივობა რეკომენდებულია სახალხო დამცველის მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფიზიკურ გარემოზე ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიშით. სესიაზე ასევე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია აღნიშნული აქტივობების თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში განხორციელების შესახებ, ასევე საქართველოს პარლამენტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საკომუნიკაციო კამპანია

საკომუნიკაციო კამპანია სამი ფაზისაგან შედგება:

წინასწარი კამპანია ვიდეოების გამოყენებით: პრომო ვიდეოები მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით; ვიდეოები გავრცელდება ცენტრალური და რეგიონული ტელეარხების მეშვეობით.

კონფერენციის დღე: პრომო ვიდეო წარმოდგენილი იქნება კონფერენციაზე. შეიქმნება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ილუსტრირებული, გამარტივებული ვერსია და წარმოდგენილი იქნება კრეატიული ინსტალაციების ფორმით.

კორპორატიულ სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კამპანია კონფერენციის შემდეგ: ქართული კომპანიები ჩაერთვებიან CSR კამპანიაში, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც აქვთ სერვისები და კლიენტზე ორიენტირებული არქიტექტურა (ბანკები, აფთიაქები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა). კომპანიები დააფინანსებენ მათი თანამშრომლების ტრენინგებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის საკითხებზე. კომპანიები საკუთარი არხებით შეუწყობენ ხელს მათ მონაწილეობას.